ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ "ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის მიზნით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 21 აგვისტოს №477/23 გადაწყვეტილებით დაწყებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის ჩატარების მიზნით ახალი საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" კომისიის 2014 წლის 30 ოქტომბრის №609/23 გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის ჩატარების მიზნით.

აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად, ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შესახებ საკითხის ზეპირი მოსმენა გაიმართა კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის სხდომაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის №713/19 გადაწყვეტილებით კომისიის 2014 წლის 30 ოქტომბრის №609/23 გადაწყვეტილებაში შეტანილი იქნას ცვლილება და ზეპირი მოსმენა გადაიდო 2015 წლის 15 იანვრისთვის.

კომისია აღნიშნავს, რომ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ საკითხის ზეპირი მოსმენა კომისიაში დაიწყო 2015 წლის 15 იანვარს და გაგრძელდა 2015 წლის 27 იანვარს.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის ზეპირი მოსმენის სხდომებზე კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ (დ.გოგიჩაიშვილი) წარმოდგენილი იქნა შემდეგი ინფორმაცია:

კომისიაში არსებული ინფორმაციის მიხედვით, გლობალური ინტერნეტის შესყიდვას და გადაყიდვას ახორციელებენ შემდეგი ავტორიზებული პირები:

ა) სს "სილქნეტი";

ბ) შპს „კავკასუს ონლაინი";

გ) შპს „დელტა კომმი";

ე) შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი"/შპს „სისტემ ნეტი"; ვ) შპს "ინტელკომ ჯგუფი";

ზ) შპს "G-Connect".

ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის მიზნით კომისიაში მიმდინარე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ზემოაღნიშნული ავტორიზებული პირებისგან კომისიამ გამოითხოვა 2013 წლის და 2014 წლის 6 თვის შემდეგი ინფორმაცია:

ა) საბითუმო გლობალური ინტერნეტის შესყიდვის შესახებ;

ბ) გლობალური ინტერნეტის ტრაფიკის შესახებ;

გ) გლობალური ინტერნეტ ტრაფიკის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების შესახებ;

დ) საბითუმო გლობალური ინტერნეტ მომსახურების მიწოდების მოქმედი სატარიფო გეგმების შესახებ;

ე) 2013 წლის და 2014 წლის 6 თვის მონაცემების საფუძველზე მომზადებული ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მომსახურებების ტარიფების გაანგარიშების მოდელი.

1. <u>გლობალური ინტერნეტის შეძენა</u>

ავტორიზებული პირების მიერ კომისიაში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით 2013 წლის და 2014 წლის 6 თვის საანალიზო/საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომპანიების მიერ შესყიდული გლობალური ინტერნეტის საშუალო თვიური მოცულობა შეადგენს 145,84 გგბტ/წმ-ს. ამასთან, მოცემულ პერიოდში შესყიდული ინტერნეტის მინიმალური მოცულობა შეადგენდა 131,60 გგბტ/წმ-ს, ხოლო მაქსიმალური მოცულობა 171,94 გგბტ/წმ-ს, შესყიდული ინტერენტის მოცულობა მოცემული პერიოდის განმავლობაში გაიზარდა 28%-ით.

გრაფიკი №1



კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კონკურენტუნარიანობის კვლევისა და ანალიზის ჩატარებისას მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმი არის ავტორიზებული პირის ან ურთიერთდაკავშირებულ პირთა ჯგუფის მიერ ბაზრის ამ სეგმენტზე დაკავებული ფარდობითი საბაზრო წილი. ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირის მიერ დაკავებული ფარდობითი საბაზრო წილი განისაზღვრება მის მიერ მიღებული შემოსავლების, ბოლო მომხმარებელთა ან აბონენტთა რაოდენობის ან გარკვეულ პერიოდში მიწოდებული მომსახურების ჯამური მოცულობის (ტრაფიკის) წილობრივი მაჩვენებლების, აგრეთვე მის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ქსელის შესაბამისი ელემენტების დატვირთული და თავისუფალი სიმძლავრეების ან ფუნქციონალური რესურსების რეზერვების გათვალისწინებით. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის მახასიათებლების გათვალისწინებით კომისია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ობიექტურობის პრინციპიდან გამომდინარე, იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზებული პირის მიერ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე დაკავებული წილის გაზომვისა და სათანადო ძირითადი კრიტერიუმის გამოყენების შესახებ.

კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტის კონკურენტუნარიანობის კვლევისა და ანალიზის ჩატარების მიზნებისათვის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ განსაზღვრის ძირითად კრიტერიუმად მიჩნეულ იქნა ავტორიზებული პირების მიერ საქართველოში ინტერნეტ საქმიანობისთვის გამოყენებული გლობალური ინტერნეტის მოხმარების წილობრივი მონაცემები, რომელიც შეადგენს:

სს “სილქნეტი“	34,69%;
შპს „კავკასუს ონლაინი“	49,18%;
შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“	14,28%;
შპს „დელტა კომმი“	1,49%;
შპს “ინტელკომ ჯგუფი”	0,32%;
შპს “G-Connect”	0,01%.

შენიშვნა N1: შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტის“ მიერ გლობალური ინტერნეტის შემოტანისთვის, განაწილებისა და მართვისათვის საჭირო ტექნიკური მოწყობილობები შპს „სისტემ ნეტის“ საკუთრებაშია. ამასთან, საანალიზო პერიოდის განმავლობაში შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“ მის მიერ შემოტანილ საბითუმო ინტერნეტის გადაყიდვას ახორციელებდა მხოლოდ შპს „სისტემ ნეტზე“. იმის გათვალისწინებით, რომ შპს „სისტემნეტი“ გლობალურ ინტერნეტს ყიდულობს შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტისგან“ და ერთი კომპანიის მიერ გაყიდული ინტერნეტის მოცულობა და საერთო ღირებულება იგივეა, რაც მეორე კომპანიაში გლობალური ინტერნეტის შემენის მონაცემები, მონაცემების გაორმაგების თავიდან აცილების მიზნით, შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტის“ და შპს „სისტემნეტის“ მონაცემები გლობალური ინტერნეტის საერთო მოცულობის შესყიდვის და საერთო ღირებულების გაანგარიშების მიზნებისათვის არ შეიკრიბა.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-11 პუნქტის ა) ქვეპუნქტის თანახმად, რამდენიმე ავტორიზებული პირი განიხილება ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ, თუ მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ორი ავტორიზებული პირის ჯამური

საბაზრო წილი აღწევს სულ მცირე 60 პროცენტს, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი უნდა იყოს არანაკლებ 25 პროცენტისა.

კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციისა და მონაცემების ანალიზის, კერძოდ ავტორიზებული პირების მიერ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე, ავტორიზებული პირების მიერ საქართველოში ინტერნეტ საქმიანობისთვის გამოყენებული გლობალური ინტერნეტის მოხმარების წილობრივი მონაცემების მიხედვით, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად უნდა განისაზღვროს:

1) სს "სილქნეტი" 34,69%;
2) შპს „კავკასუს ონლაინი" 49,18%.

2. <u>გლობალური ინტერნეტის სხვა ავტორიზებულ პირებზე სხვა ქვეყნის ოპერატორებზე მიწოდება</u>

კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ 2013 წლის და 2014 წლის 6 თვის საანალიზო პერიოდისთვის სხვა ავტორიზებულ პირებზე და სხვა ქვეყნის ოპერატორებზე გადაყიდული გლობალური ინტერნეტიდან შემოსავლები, ინტერნეტის მოცულობა და საშუალო ფასების მონაცემები კომპანიების მიხედვით დინამიკაში წარმოდგენილია ცხრილში N1-ში და ცხრილში N2- ში.

სხვა ქვეყნის ოპერატორებზე გადაყიდული გლობალური ინტერნეტის მონაცემები

ცხრილი N1

	სილქნეტი			კავკასუს ონლაინი		
	ggბტ/წმ	შემოსავალი	საშ. ფასი	ggბტ/წმ	შემოსავალი	საშ. ფასი
Jan-13	3	54 694	17 092	35	566 831	16 195
Feb-13	3	44 650	14 883	35	565 565	16 159
Mar-13	3	44 758	14 919	35	566 933	16 198
Apr-13	3	44 572	14 857	35	564 574	16 131
May-13	10	159 928	15 993	35	561 256	16 036
Jun-13	10	187 295	18 729	35	564 608	16 132
Jul-13	10	187 646	18 765	35	565 668	16 162
Aug-13	10	233 441	23 344	35	568 233	16 235
Sep-13	10	196 399	19 640	35	569 225	16 264
Oct-13	10	197 143	19 714	35	571 379	16 325
Nov-13	10	197 710	19 233	35	578 664	16 533
Dec-13	14	215 301	15 948	35	593 815	16 966
Jan-14	16	267 285	16 705	35	609 410	17 412
Feb-14	26	378 242	14 548	35	598 329	17 095
Mar-14	26	421 196	16 200	35	597 713	17 078
Apr-14	26	426 787	16 415			
May-14	26	427 028	16 424			
Jun-14	26	418 304	16 089			

სხვა ავტორიზებულ პირებზე გადაყიდული გლობალური ინტერნეტის მონაცემები

ცხრილი N2

	სილქნეტი			კავკასუს ონლაინი		
	გგბტ/წმ	შემოსავალი	საშ. ფასი	გგბტ/წმ	შემოსავალი	საშ. ფასი
Jan-13	0,84	76 552	91 343	3,01	154 066	51 185
Feb-13	0,96	77 377	80 879	3,07	156 163	50 917
Mar-13	1,00	82 325	82 280	3,09	158 504	51 296
Apr-13	1,01	82 816	81 608	3,15	160 111	50 829
May-13	1,03	83 467	80 909	2,63	124 693	47 412
Jun-13	0,99	79 196	80 295	2,86	131 924	46 127
Jul-13	1,05	80 983	77 412	2,92	138 732	47 511
Aug-13	1,16	81 364	69 931	2,39	122 314	51 177
Sep-13	1,16	80 796	69 811	2,40	119 363	49 735
Oct-13	1,21	84 154	69 667	2,52	120 511	47 822
Nov-13	1,32	93 000	70 285	2,88	132 677	46 068
Dec-13	1,58	101 524	64 110	3,53	141 651	40 128
Jan-14	1,67	106 948	63 961	3,48	149 117	42 850
Feb-14	1,89	109 501	57 976	3,60	155 099	43 083
Mar-14	2,23	109 672	49 226	3,80	170 319	44 821
Apr-14	1,79	102 736	57 396	3,73	166 671	44 684
May-14	1,89	108 351	57 389	3,99	171 028	42 864
Jun-14	2,15	115 465	53 608	3,71	165 665	44 654

3. <u>ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მომსახურებების ტარიფების გაანგარიშების მოდელი</u>

კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ შედგენილი <u>ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების</u> დანახარჯების განაწილების მოდელის ცხრილები, ამ ცხრილების შევსების წესებით და განმარტებებით (შემდგომში „მოდელი“), ავტორიზებულ პირებს გაეგზავნათ კომისიის N08/2358-14 17/11/2014 წერილით. აღნიშნული მოდელი ითვალისწინებს დანახარჯების მომსახურების სახეებზე მიკუთვნების ორ ეტაპს:

პირველი ეტაპი (მოდელის ცხრილი N1, კომისიის N08/2358-14 17/11/2014 წერილი) - პირველ ეტაპზე უნდა განისაზღვროს კომპანიის საკუთრებაში არსებული ზონათშორისი და საერთაშორისო მაგისტრალური ქსელის იმ ელემენტების ღირებულება და საოპერაციო დანახარჯები (მათ შორის: რემონტი, შეკეთება, შრომის ანაზღაურება, ელ. ენერგიის ხარჯი და სხვა), რომლებიც მონაწილეობენ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მომსახურების მიწოდებაში.

ცხრილის მიხედვით „ქსელის ელემეტების“ ჯგუფი შედგება: მულტიპლექსორების, მაგისტრალური სახაზო გატარების საშულებების, ოპტიკურ წყვილებზე გამოყენებული სპექტრალური შემჭიდროვების აპარატურის, სიგნალის გამანაწილებელი ტექნიკური საშუალებების და ქსელის დამხმარე საშუალებებისგან (გაგრილების საშუალებები და ელ. კვების მოწყობილობები).

მეორე ეტაპი - კომპანიამ პირველ ეტაპზე მიღებული ქსელის ელემენტების ხარჯები (მოდელის ცხრილი N2, კომისიის N08/2358-14 17/11/2014 წერილი) უნდა გაანაწილოს იმ მომსახურების სახეებზე, რომელთა მიწოდებაშიც მონაწილეობს აღნიშნული ქსელის ელემენტები. კომპანიამ ასევე მომსახურების სახეებზე უნდა გაანაწილოს ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მომსახურების ფარგლებში საერთაშორისო და ადგილობრივი ოპერატორებისგან მიღებული ზონათშორისი და საერთაშორისო მაგისტრალური არხების იჯარა, შესყიდული გლობალური ინტერნეტის ხარჯები და არხების და სხვასხვა ტექნიკური საშუალებების მომსახურების (მოვლა-პატრონობის) დანახარჯები (მოდელის ცხრილი N3, კომისიის N08/2358-14 17/11/2014 წერილი).

მოდელის ცხრილი N4 (კომისიის N08/2358-14 17/11/2014 წერილი) ითვალისწინებს ანალიზური პერიოდის მონაცემებს გლობალური ინტერნეტ ტრაფიკის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია გაანგარიშებაში გამოიყენება ქსელის ელემენტების და სხვა დანახარჯების მომსახურების სახეებზე გადანაწილებისთვის.

მოდელის ცხრილი N 5 (კომისიის N08/2358-14 17/11/2014 წერილი) ითვალისწინებს ანალიზური პერიოდის მონაცემები სხვა ავტორიზებულ პირებზე გადაყიდული ინტერნეტის მოცულობების და ტარიფების შესახებ.

კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ კომპანიებისთვის მიწოდებული ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების დანახარჯების განაწილების მოდელთან დაკავშირებით სს „სილქნეტის“ მხრიდან გამოითქვა შენიშვნები და მოსაზრებები (სს „სილქნეტის“ 2014 წლის 24 ნოემბრის N4584/01-8 წერილი), კერძოდ კომპანიის განმარტებით, სს „სილქნეტში“ მაგისტრალური ქსელის ელემენტების, შრომის ანაზღაურების და რემონტის/შეკეთების დანახარჯების აღრიცხვა არ წარმოებს იმდაგვარად, რომ შესაძლებელი იყოს დანახარჯების პირველად დოკუმენტზე დაყრდნობით ქსელის ელემენტებზე მიკუთვნება.

კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნულ შენიშვნებთან დაკავშირებით, სს “სილქნეტს“ კომისიის 2014 წლის 28 ნოემბრის N08/2443-2446-14 წერილით (აღნიშნული წერილი გაეგზავნა ასევე შპს „კავკასუს ონლაინს“, შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტს“ და შპს „სისტემ ნეტს“) განემარტა, რომ:

ა) მაგისტრალური ქსელის ელემენტები დანახარჯების მოდელში გამოიყენება ცვეთის ხარჯის და კაპიტალის ღირებულების განსაზღვრისთვის. რადგან სს „სილქნეტის“ საბუღალტრო პროგრამაში მაგისტრალური ქსელი არ არის ისე აღრიცხული, რომ მონაცამები გამოყენებული იქნას ზემოაღწერილი მიზნებისთვის, ამიტომ კომპანიის მიერ ლოგიკური დაშვების საშუალებით ამ მონაცემების დადგენისას გამოყენებული პროფესიული მსჯელობა არ იქნება მხედველობაში მიღებული მტკიცებულების სახით, თუ ის არ იქნება გამყარებული კონკრეტული ფაქტებით და არსებითი გარემოებებით. ამასთან სხვადასხვა ლოგიკური მიდგომების, დაშვებების და პროფესიული მსჯელობების საშუალებით მაგისტრალური ქსელის ელემენტების მონაცემების დადგენით მიღებულ უნდა იქნას მაგისტრალური არხების ისეთი ტექნიკური მონაცემები, რომლებიც ადვილად შესადარებელი იქნება კომისიის სტატისტიკურ ბაზაში არსებული მაგისტრალური არხის სეგმენტის სიგრძისა და ოპტიკური ბოჭკოს რაოდენობის შესახებ ინფორმაციასთან; ამასთან, აღნიშნული აქტივების ღირებულების და ცვეთის ხარჯის სხვადასხვა ლოგიკური მიდგომების, დაშვებების და პროფესიული მსჯელობების საშუალებით დადგენის შედეგად მიღებული მონაცემები დოკუმენტურად გამყარებული უნდა იყოს ასეთი აქტივების შესახებ შესყიდვის ღირებულების და სასარგებლო მომსახურების ვადის შესახებ ინფორმაციით, ხოლო რაც შეეხება ამ აქტივების ექსპლოატაციაში ყოფნის ვადას, ის გამყარებული უნდა იყოს ამ აქტივების მომსახურებების მიწოდებაში მონაწილეობის ფაქტებით. ამასთან, დანახარჯების განაწილების მოდელში გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ ზონათშორისი და საერთაშორისო მაგისტრალური არხების მომაცემები;

ბ) ხელფასის დანახარჯები - თუ შპს „კავკასუს ონლაინში“ და სს „სილქნეტში“ პერსონალის შრომითი რესურსების შესახებ ინფორმაცია არ შეიცავს ქსელის ელემენტების მიხედვით სამუშაო დროის გადანაწილების მონაცემებს, მაშინ სხვადასხვა ლოგიკური მიდგომების, დაშვებების და პროფესიული მსჯელობების საშუალებით ხელფასის ხარჯის განაწილება იმდაგავარად უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ შესაძლებელი იყოს კონკრეტული ქსელის ელემენტის მიხედვით ექსპლუატაციისთვის გამოყოფილი თანამშრომლების რაოდენობის, სამუშაო დროის (კაც/საათი) და ანაზღაურების განაკვეთის დადგენა;

გ) რემონტისა და შეკეთების ხარჯები - თუ რემონტისა და შეკეთების ხარჯები სს „სილქნეტში“ საბუღალტრო აღრიცხვის მიხედვით არ არის დეტალიზებული ქსელის ელემენტების მიხედვით, მაშინ სხვადასხვა ლოგიკური მიდგომების, დაშვებების და პროფესიული მსჯელობების საშუალებით ასეთი ხარჯების განაწილება იმდაგავარად უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ შესაძლებელი იყოს კონკრეტული ქსელის ელემენტის მიხედვით ჩატარებული რემონტის/შეკეთების ოდენობების და მათი ჩატარების მიზნობრიობის დადგენა.

4. ზედნადები დანახარჯები

კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ ზედნადები დანახარჯების განსაზღვრის მიზნებისთვის კომპანიებისგან გამოთხოვილი იქნა ზედნადები დანახარჯების შესახებ ინფორმაცია (მოდელის ცხრილი N6). აღნიშნული ცხრილით განისაზღვრა ზედნადები დანახარჯების პროცენტული წილი კომპანიის მთლიან დანახარჯებში. ცხრილი N 3-ში და ცხრილი N 4-ში მოცემულია შპს “კავკასუს ონლაინის“ და სს “სილქნეტის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით ზედნადები დანახარჯების წილი კომპანიების საერთო ხარჯებში.

ცხრილი N 3

შპს "კავკასუს ონლაინი"				
N	შინაარსი	პერსონალის ხელფასი	პერსონალის სხვა ხარჯი	ჯამი
1	პერსონალის მართვა	216 590	43 168	**259 758**
2	უფროსი მენეჯმენტი , დირექტორატი	749 895	81 416	**831 311**
3	ფინანსური სამსახური მათ შორის ბუღალტერია,	490 347	29 534	**519 881**
4	ადმინისტრაცია	218 600	31 910	**250 510**
5	უსაფრთხოება, დაცვა	356 322	19 287	**375 609**
6	იურიდიული სამსახური	201 780	20 067	**221 847**
7	ხარისხის მენეჯმენტი	79 807	6 184	**85 991**
8	ოპერატორებთან ურთიერთობის სამსახური	56 800	1 591	**58 391**
9	IT მხარდაჭერა მათ შორის სერვერების ადმინისტ	929 202	57 276	**986 478**
10	ლოჯისტიკა, შესყიდვები	325 696	25 693	**351 389**
11	Media Services Depar	348 881	41 861	**390 741**
12	PR Manager	45 006	3 053	**48 059**
	სულ	**4 018 926**	**361 039**	**4 379 965**
	კომპანიის მთლიანი ხარჯები (2013 წელი)			**84 833 162**
	წილი მთლიან ხარჯებში			**5%**

ცხრილი N4

სს "სილქნეტი"	ხელფასი	დაზღვევა	პრემია	სულ
გაუქმებული სტრუქტურული ერთეულები	115 043	2 271	**1 961**	119 276
დირექტორატი	1 766 739	633	**1 148 576**	2 915 948
თბილისი. გენ. დირექტორს დაქვემდებარებული მიმართულება	1 656 219	8 424	**168 385**	1 833 028
თბილისი. ინფორმაციული მართვის მიმართულება	1 777 746	6 557	**17 250**	1 801 553
თბილისი. საოპერაციო მიმართულება	2 833 107	48 556	**12 163**	2 893 826
თბილისი. ფინანსური მიმართულება	1 176 343	6 224	**29 375**	1 211 942
თბილისი. შიდა კონტროლისა და სტანდარტიზაციის მიმართულება	3 251 457	34 913	**81 352**	3 367 723
რეგიონალური მომსახურების ცენტრები	368 355	4 999	**4 903**	378 257
სულ	**12 945 008**	**112 579**	**1 463 965**	**14 521 551**
კომპანიის მთლიანი ხარჯები (2013 წელი)				142 004 317
წილი მთლიან ხარჯებში				10%

აღნიშნული შედეგების მიხედვით საბითუმო ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების ხარჯებში ზედნადები ხარჯების სახით გათვალისწინებულ იქნა კომპანიების მიერ წარმოდგენილი ამ მომსახურების დანახარჯების (დატვირთული კაპიტალის გარდა) 10%.

1. **სს „სილქნეტი“**

სს „სილქნეტმა“ 2013 წლის და 2014 წლის 6 თვის მონაცემების საფუძველზე მომზადებული ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მომსახურებების ტარიფების გაანგარიშების მოდელი წარმოადგინა 2014 წლის 23 დეკემბრის N 5110/21-8 წერილით.

სს „სილქნეტის“ მიერ წარმოდგენილი მოდელით ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების დანახარჯები შინაარსისა და სტრუქტური მიხედვით მოცემულია ცხრილი N 5-ში.

სს „სილქნეტის“ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების დანახარჯების მოდელი

ცხრილი N5

	2014 6 M	2013
მაგისტრალის დანახარჯები	190 194	235 525
ადგილობრივი და საერთაშორისო ოპერატორებისთვის გადახდილი/ გადასახდელი თანხები	210 239	246 456
სხვა საოპერაციო ხარჯები		
ზედნადები ხარჯები	40 043	48 198
დატვირთილი კაპიტალი	5 960	8 134
სულ დანახარჯები	**446 436**	**538 313**
მოცულობა	**1,90**	1,10
დანახარჯები 1 მბ/წმ-ზე	**38,24**	**39,83**

სს „სილქნეტის“ მაგისტრალის დანახარჯები ეკონომიკური შინაარსისა და სტრუქტურის მიხედვით:

ცხრილი №6

სილქნეტი 2014 წლის 6 თვის მონაცემებით		
მაგისტრალის დანახარჯები	**პერიოდის განმავლობაში**	**1 მგბტ/წმ-ზე**
ცვეთა და ამორტიზაცია	3 044	0,26
ელ ენერგია და საწვავი	14 996	1,28
რემონტი და შეკეთება	12 811	1,10
პერსონალის ხელფასი	121 184	10,38
ტექნიკური მხარდაჭერა	38 160	3,27
	190 194	**16,29**
მოცულობა	**1,90**	

შენიშვნა:

ა) სს „სილქნეტის“ მიერ წარმოდგენილი მოდელის მიხედვით პერსონალის შრომითი რესურსის შესახებ მონაცემები არ შეიცავს ქსელის ელემენტების მიხედვით სამუშაო დროის გადანაწილების შესახებ ინფორმაციას კერძოდ, ხელფასისა და მასთან გათანაბრებული დანახარჯების გადანაწილებისას არ მომხდარა ამ მომსახურებაზე დასაქმებული კონკრეტული საშტატო ერთეული/თანამშრომლის იდენტიფიცირება;

ბ) სს „სილქნეტის“ მიერ წარმოდგენილი მოდელის მიხედვით პერსონალის შრომითი რესურსის დანახარჯების მომსახურების სახეებზე გადანაწილებისას ექსპორტზე მიწოდებული გლობალური ინტერნეტის მოცულობები დანახარჯების გადანაწილებაში არ იღებს მონაწილეობას, აღნიშნული იწვევს სხვა ავტორიზებულ პირებზე მიწოდებულ ინტერნეტზე შრომითი დანახარჯების მნიშვნელოვნად გაზრდილი ოდენობით მიკუთვნებას;

სს „სილქნეტის“ მიერ ადგილობრივ და საერთაშორისო ოპერატორებისთვის გადახდილი/გადასახდელი თანხები (ინტერნეტის შეძენა და ტრანსპორტირება) საანალიზო პერიოდების მიხედვით:

ცხრილი №7

სილქნეტი 2014 წლის 6 თვის მონაცემებით	2014 6 M	2013
ადგილობრივი და საერთაშორისო ოპერატორებისთვის გადახდილი თანხები	210 239	246 456
საშუალო მოცულობა	1,90	1,10
დანახარჯები 1 მბ/წმ-ზე	18,01	18,23

კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტმა „ა“ და „ბ“ შენიშვნების გათვალისწინებით სს „სილქნეტის“ მიერ წარმოდგენილ ტარიფის გაანგარიშების მოდელში შეიტანა მაკორექტირებელი გაანგარიშებები. „ა“ და „ბ“ შენიშვნების კორექტირებით მიღებული შედეგები 2014 წლის 6 თვის პერიოდისთვის მოცემულია ცხრილი N 8 -ში.

ცხრილი N 8

	2014 6 M	
	სილქნეტი	**სილქნეტი**
	წარმოდგენილი	**კორექტირებული**
მაგისტრალის დანახარჯები	190 194	121 498
ადგილობრივი და საერთაშორისო ოპერატორებისთვის გადახდილი	210 239	210 239
სხვა საოპერაციო ხარჯები		
ზედნადები ხარჯები	40 043	33 174
დატვირთული კაპიტალი	5 960	5 960
სულ დანახარჯები	**446 436**	**370 870**
მოცულობა	**1,90**	**1,90**
დანახარჯები 1 მბ/წმ-ზე	**38,24**	**31,77**

2. **შპს „კავკასუს ონლაინი“**

შპს “კავკასუს ონლაინმა“ 2013 წლის და 2014 წლის 6 თვის მონაცემების საფუძველზე მომზადებული ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მომსახურებების ტარიფების გაანგარიშების მოდელი წარმოადგინა 2015 წლის 27 იანვრის N6/435-1 წერილით.

შპს “კავკასუს ონლაინის“ მიერ წარმოდგენილი მოდელით ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების დანახარჯები შინაარსისა და სტრუქტური მიხედვით მოცემულია ცხრილი N6-ში.

შპს “კავკასუს ონლაინის“ მიერ წარმოდგენილი ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების დანახარჯების მოდელი:

ცხრილი N9

	2014 6 M	2013
მაგისტრალის დანახარჯები	266 852	437 759
ადგილობრივი და საერთაშორისო ოპერატორებისთვის გადახდილი თანხები	145 220	203 042
სხვა საოპერაციო ხარჯები	15 979	22 836
ზედნადები ხარჯები		
დატვირთული კაპიტალი	141 501	207 406
სულ დანახარჯები	**569 553**	**871 043**
მოცულობა	**3,72**	2,87
დანახარჯები 1 მბ/წმ-ზე	**24,93**	**24,69**
ფასის სარგებელი IP	3,933	3,933
ფასის სარგებელი Transport Bulgaria	1,058	1,058
ფასის სარგებელი Transport from Georgia tillBulgar	13,02	13,02
ზედნადები 20%	8,59	8,54
სულ დღგ-ს ჩათვლით	**60,81**	**60,47**

კომისიის მიერ მოთხოვნილი ცხრილების მიხედვით შპს „კავკასუს ონლაინი“ მიერ წარმოდგენილი ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების დანახარჯების მოდელი დანახარჯები პერიოდების მიხედვით მოცემულია ცხრილში N 10:

ცხრილი N10

	2014 6 M	2013
მაგისტრალის დანახარჯები	266 852	437 759
ადგილობრივი და საერთაშორისო ოპერატორებისთვის გადახდილი თანხები	145 220	203 042
სხვა საოპერაციო ხარჯები	15 979	22 836
ზედნადები ხარჯები	42 805	66 364
დატვირთული კაპიტალი	141 501	207 406
სულ დანახარჯები	**612 358**	**937 407**
მოცულობა	**3,72**	2,87
დანახარჯები 1 მბ/წმ-ზე	**26,80**	**26,58**

შპს „კავკასუს ონლაინის“ მაგისტრალის დანახარჯები ეკონომიკური შინაარსისა და სტრუქტურის მიხედვით:

ცხრილი N11

კავკასუსი 2014 წლის 6 თვის მონაცემებით		
მაგისტრალის დანახარჯები	**პერიოდის განმავლობაში**	**1 მგბტ/წმ-ზე**
ცვეთა და ამორტიზაცია	58 414	5,00
ელ ენერგია და საწვავი	3 834	0,33
პერსონალის ხელფასი	204 604	8,96
	266 852	**14,29**
მოცულობა	**3,72**	

შენიშვნა:

გ) შპს „კავკასუს ონლაინი“ მიერ წარმოდგენილი მოდელის მიხედვით პერსონალის შრომითი რესურსის შესახებ მონაცემები არ შეიცავს ქსელის ელემენტების მიხედვით სამუშაო დროის გადანაწილების შესახებ ინფორმაციას კერძოდ, ხელფასისა და მასთან გათანაბრებული დანახარჯების გადანაწილებისას არ მომხდარა ამ მომსახურებაზე დასაქმებული კონკრეტული საშტატო ერთეული/თანამშრომლის იდენტიფიცირება;

დ) ხელფასის ხარჯი მომსახურების სახეებზე გადანაწილდა არა ქსელში გატარებული მოცულობების მიხედვით არამედ ეს ხარჯი თანაბრად გაიყო შემდეგ 5 მომსახურებეზე: ა) სხვა ავტორიზებული პირების ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვება; ბ) სხვა ქვეყნის ოპერატორების ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვება; გ) საკუთარი მოხმარების ინტერნეტი (მათ შორის საცალო გაყიდვების და საკუთარი ოფისებისთვის გამოყენებული ინტერნეტი); დ) საერთაშორისო მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურება; ე) გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურება; ხელფასის დანახარჯები „ა“,“ ბ“, „გ“ და „დ“ მომსახურების სახეებზე უნდა გადანაწილდეს ამ მომსახურებების მიერ ქსელის დატვირთულობის მაგისტრალური ქსელის მიხედვით;

ე) შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ 2014 წლის 22 დეკემბერის N 01-02/5255 წერილით წარმოდგენილი მოდელის მიხედვით ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მომსახურებების დანახარჯები

დაახლობით 16 ლარს შეადგენდა (ბოლო მოდელით დანახარჯების გაიზარდა 16-დან 28 ლარამდე), დანახარჯების ასეთი ცვლილება გამოწვეულია დანახარჯების მოდელში სახელფასო დანახარჯების ზრდით;

ვ) შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით დატვირთული კაპიტალის ღირებულების გასაანგარიშებლად გამოყენებული WACC-ის (კაპიტალის საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთი) ოდენობა შეადგენს 15,24 %-ს. აღნიშნული კოეფიციანტი გაანგარიშებულია საკონსულტაციო კომპანიის შპს „BDO “- ს მიერ შპს „კავკასუს ონლაინისთვის“ ბიზნესის შეფასების ფარგლებში (2013 წლის 27 დეკემბრის დასკვნა).

კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ კომპანიის მიერ წარმოდგენილი WACC-ის გაანგარიშება არ შეესაბამება კომისიის 2006 წლის 20 აპრილის №5 დადგენილებით დამტკიცებული ”ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესებს”.

„ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების შესახებ“ კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებაში კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების WACC გაანგარიშებასთან დაკავშირებით ცვლილება შევიდა კომისიის 2014 წლის 2 ოქტომბრის №6 დადგენილებით. იმის გათვალისწინებით, რომ: ა) ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზისთვის ოპერატორებისგან ინფორმაცია და დანახარჯების გაანგარიშების მოდელის მომზადება მოთხოვნილი იყო კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებაში აღნიშნული ცვლილებების შეტანამდე; ბ) ამასთან, მეთოდოლოგიურ წესებში შეტანილი ცვლილების მიხედვით WACC რეგულირებადი საქმიანობისთვის უნდა დადგინდეს კომისიის გადაწყვეტილებით („ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების” 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი), რომელიც კომისიას ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ საკითხის განხილვის მომენტისთვის დადგენილი არ აქვს, კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტმა გაანგარიშების მიზნებისთვის გამოიყენა 2012 წლის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი ავტორიზებული პირების საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის წლიური განაკვეთის გასაშუალოებული ოდენობა.

კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტმა ზემოაღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით, კერძოდ WACC-ის კორექტირებით (WACC შემცირდა 10%-მდე) შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ წარმოდგენილ მოდელში შეიტანა მაკორექტირებელი გაანგარიშებები.

ზ) შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით დატვირთული კაპიტალის ღირებულების გაანგარიშებაში მოცემული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებიბის კონვერტირება განხორციელდა ა.შ.შ დოლარში, აღნიშნულმა გამოიწვია დატვირთული კაპიტალის ღირებულების მნიშვნელოვანი გაზრდა ლარებში.

შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ ადგილობრივ და საერთაშორისო ოპერატორებისთვის გადახდილი/გადასახდელი თანხები (ინტერნეტის შემენა და ტრანსპორტირება) საანალიზო პერიოდების მიხედვით:

ცხრილი N12

კავკასუს ონლაინი 2014 წლის 6 თვის მონაცემებით	**2014 6 M**	**2013**
ადგილობრივი და საერთაშორისო ოპერატორებისთვის გადახდილი თანხები	145 220	203 042
საშუალო მოცულობა	3,72	2,87
დანახარჯები 1 მბ/წმ-ზე	6,36	5,76

კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტმა „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ შენიშვნების გათვალისწინებით შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ წარმოდგენილ ტარიფის გაანგარიშების მოდელში შეიტანა მაკორექტირებელი გაანგარიშებები. „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ შენიშვნების კორექტირებით მიღებული შედეგები 2014 წლის 6 თვის პერიოდისთვის მოცემულია ცხრილი N13-ში.

ცხრილი N 13

	2014 6 M	
	კავკასუსი	**კავკასუსი**
	წარმოდგენილი	**კორექტირებული**
მაგისტრალის დანახარჯები	266 852	97 824
ადგილობრივი და საერთაშორისო ოპერატორებისთვის გადახდილი	145 220	145 220
სხვა საოპერაციო ხარჯები	15 979	15 979
ზედნადები ხარჯები	42 805	
დატვირთილი კაპიტალი	141 501	102 262
სულ დანახარჯები	**612 358**	**361 285**
მოცულობა	**3,72**	**3,72**
დანახარჯები 1 მბ/წმ-ზე	**26,80**	**15,81**

კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ბაზრის სეგმენტის კონკურენტუნარიანობის კვლევისა და ანალიზის ჩატარების შედეგად შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“ არ განისაზღვრა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად, შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტის“ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების დანახარჯები წარმოდგენილ იქნა შპს „კავკასუს ონლაინთან“ და სს „სილქნეტთან“ შედარების თვალსაზრისით.

კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტმა“ 2013 წლის და 2014 წლის 6 თვის მონაცემების საფუძველზე მომზადებული ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მომსახურებების ტარიფების გაანგარიშების მოდელი კომისიაში წარმოადგინა 2014 წლის 19 დეკემბრის N 6/7503-14 წერილით.

შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტის“ მიერ წარმოდგენილი მოდელით ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების დანახარჯები შინაარსისა და სტრუქტური მიხედვით მოცემულია ცხრილი N14-ში.

შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტის“ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების დანახარჯების მოდელი:

ცხრილი N 14

	2014 6 M	2013
მაგისტრალის დანახარჯები	1 158 513	1 963 535
ადგილობრივი და საერთაშორისო ოპერატორებისთვის გადახდილი/ გადასახდელი თანხები	1 700 367	3 419 359
სხვა საოპერაციო ხარჯები ზედნადები ხარჯები	285 888	538 289
სულ დანახარჯები	**3 144 768**	**5 921 184**
მოცულობა	**17,09**	14,65
დანახარჯები 1 მბ/წმ-ზე	**30,67**	**33,68**

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის სხდომაზე შპს ”კავკასუს ონლაინის” და სს ”სილქნეტის“ წარმომადგენლების მხრიდან გამოითქვა შენიშვნები გაანგარიშებაში მოგების გათვალისწინების აუცილებლობის შესახებ, აგრეთვე ზედნადები ხარჯების მიკუთვნების პრინციპთან დაკავშირებით; ხოლო შპს ”კავკასიიის ციფრული ქსელის” წარმომადგენლის, დავით თუთბერიძის მიერ დაყენებული იქნა შუამდგომლობა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებისათვის სპეციფიკური ვალდებულებეების დაკისრებისას დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულების გათვალისწინების თაობაზე.

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების შესწავლის შედეგად კომისია აღნიშნავს შემდეგს:

კომისია იზიარებს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ, ინტერნეტის ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის კვლევისა და ანალიზის ფარგლებში წარმოდგენილ კვლევის შედეგებს და მიაჩნია, რომ აღნიშნული შედეგების გათვალისწინებით, ბაზრის ამ სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებად უნდა განისაზღვრონ სს "სილქნეტი" და შპს "კავკასუს ონლაინი", რომელთაც როგორც მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს, უნდა დაეკისროთ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის V თავით გათვალისწინებული შემდეგი სპეციფიკური ვალდებულებები:

ა) ინფორმაციის გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის ვალდებულება;

ბ) დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება;

გ) დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება;

დ) სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება.

კომისია აღნიშნავს, რომ "ინტერნეტის ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ" კომისიის 2013 წლის 20 მარტის №176/9 გადაწყვეტილების შესაბამისად, სს "სილქნეტს" და შპს "კავკასუს ონლაინს" დაკისრებული აქვთ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის და დისკრიმინაციის აკრძალვის სპეციფიკური ვალდებულებები. ინფორმაციის გამჭვირვალობის სპეციფიკური ვალდებულების შესაბამისად ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების შეთავაზების წინადადებების მიხედვით, ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მომსახურების ფასები საკმაოდ მაღალია კომპანიების მიერ წარმოდგენილ დანახარჯებთან შედარებით; ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია სატარიფო რეგულირების სპეციფიკური ვალდებულების დადგენა, კერძოდ ზედა ზღვრული ტარიფის განსაზღვრა, რამაც გარკვეულწილად შესაძლებელია უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი გარემოს წინაპირობის შექმნა ინტერნეტით მომსახურების საცალო სეგმენტზე.

კომისია აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ დაწესებული ტარიფი უნდა ითვალისწინებდეს მომსახურებისათვის გამოყენებულ ქსელის შესაბამის ელემენტებზე, რესურსების და სიმძლავრეების უზრუნველყოფაზე გაწეული დანახარჯების ანაზღაურებას, შესაბამისად ზედა ზღვრული ტარიფების დადგენის ფარგლებში კომპანიებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა აინაზღაურონ მიწოდებული მომსახურების უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯები. კომპანიების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის და კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი გაანგარიშების და შენიშვნების გათვალისწინებით, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების ზედა ზღვრული ტარიფების დასადგენად იხელმძღვანელოს გაანგარიშებით მიღებული შედეგებიდან უმაღლესით, რაც უზრუნველყოფს კომპანიების რესურსების და სიმძლავრეების უზრუნველყოფაზე გაწეული დანახარჯების ანაზღაურებას. შესაბამისად, კომისიას მიაჩნია, რომ ამ ეტაპისათვის მიზანშეწონილია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს დაუდგინდეთ ზედა ზღვრული ტარიფი 32 ლარის ოდენობით მგბტ/წმ-ზე, გადასახადების გარეშე;

კომისია იზიარებს შპს "კავკასიის ციფრული ქსელის" დირექტორის ბატონ დავით თუთბერიძის შუამდგომლობას დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულების დაკისრების ნაწილში და დამატებით განმარტავს, რომ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბუთუმო ბაზრის ქვესეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების მიერ შემოსავლების და დანახარჯების განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშების წარმოდგენისა და ბაზრის ამ სეგმენტზე განსაზღვრულ მომსახურებებთან დაკავშირებული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების შესახებ" კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რის შემდეგაც კომისიის მიერ განსაზღრულ ვადაში კომპანიების მიერ მომზადდება შემოსავლების და დანახარჯების განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშები. შემოსავლების და ხარჯების განცალკევებულად აღრიცხვის ანგარიშში დეტალიზირებული უნდა იყოს ყველა საბითუმო და საცალო მომსახურება ცალ-ცალკე; შემოსავლების და დანახარჯების განცალკევებული აღრიცხვის ანგარიში დამოწმებული უნდა იყოს „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის N360 დადგენილებით განსაზღვრულ პირთა ნუსხიდან ნებისმიერი აუდიტორული კომპანიის მიერ;

კომისია აღნიშნავს, რომ სს "სილქნეტის" მიერ გამოქვეყნებული მოწვევის ოფერტის მიხედვით, ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების ტარიფები 1-5 მბ/წმ მოცულობის შესყიდვის შემთხვევაში შეადგენს 65 აშშ დოლარს 1 მბ/წმ-ზე, დღგ-ს გარეშე. ტარიფის ოდენობა მცირდება შესყიდული მოცულობის გაზრდის შესაბამისად.

შპს "კავკასუს ონლაინის" მიერ გამოქვეყნებული ოფერტის მიხედვით, ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მომსახურების ტარიფები 1-დან 10 მბ/წმ-დე მოცულობის შესყიდვის შემთხვევაში შეადგენს 120 ლარს 1 მბ/წმ-ზე, დღგ-ს ჩათვლით. ტარიფის ოდენობა მცირდება შესყიდული მოცულობის გაზრდის შესაბამისად.

ავტორიზებული პირების მიერ მცირე მოცულობის ინტერნეტის შესყიდვის შემთხვევაში სს "სილქნეტის" და შპს "კავკასუს ონლაინის" მიერ დადგენილი ფასი მნიშვნელოვნად აღემატება მათ დანახარჯებს; იმის გათვალისწინებით, რომ მაღალი ფასი წარმოადგენს ხელშემშლელ ფაქტორს მომსახურებით მოსარგებლე ავტორიზებული პირების საქმიანობისათვის, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ წინამდებარე გადაწყვეტილებით დადგენილი სპეციფიკური ვალდებულებები მიქცეულ უნდა იქნას დაუყონებლივ აღსასრულებლად;

გაანგარიშებაში მოგების გათვალისწინების შენიშვნის თაობაზე კომისია განმარტავს, რომ კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებით დამტკიცებული „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების" 21-ე მუხლის შესაბამისად, კომისიის მიერ ზღვრული ტარიფების დადგენისას გამოიყენება დატვირთული კაპიტალის ღირებულება. დატვირთული კაპიტალის ღირებულება იანგარიშება შემდეგი ფორმულით: დატვირთული კაპიტალის ღირებულება = (მომსახურების მისაწოდებლად აუცილებელი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების: ღირებულებას - აკუმულირებული ცვეთა) x WACC; ამავე მუხლის მიხედვით, კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC) არის ავტორიზებული პირის მიერ განხორცილებული ინვესტიციების ალტერნატიული ღირებულების შეფასების მეთოდი.

კომისია აღნიშნავს, რომ დატვირთული კაპიტალის ღირებულება გათვალისწინებულია შპს "კავკასუს ონლაინის" და სს "სილქნეტის" გაანგარიშებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და მე-5 თავის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 და 165-ე მუხლების, IX თავის და „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტის გეოგრაფიულ საზღვრად განისაზღვროს საქართველოს მთელი ტერიტორია;

2. ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე საქმიანობის განმახორციელებელი ავტორიზებული პირების ჯგუფი განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) სს "სილქნეტი";

ბ) შპს „კავკასუს ონლაინი";

გ) შპს „დელტა კომმი";

დ) შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი"/შპს „სისტემ ნეტი";

ე) შპს "ინტელკომ ჯგუფი";

ვ) შპს "G-Connect".

3. ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ დადგინდნენ შემდეგი ავტორიზებული პირები:

ა) შპს "კავკასუს ონლაინი";

ბ) სს "სილქნეტი";

4. ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე ამ გადაწყვეტილების მე-3 პუნქტით განსაზღვრულ, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს, ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებში, დაეკისროს შემდეგი ვალდებულებები:

4.1.ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება, შემდეგი კონკრეტული პირობებით:

ა) ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულმა პირმა 2015 წლის 1 მარტამდე საჯაროდ გამოაქვეყნოს ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტა); მოწვევის ოფერტაში ასახული უნდა იქნეს ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების მიწოდების არსებითი პირობები, მათ შორის:

ა.ა) ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების მიწოდების მისამართ(ებ)ი, ამ წერტილ(ებ)ში ტექნიკური საშუალებების გამოყენებული ინტერფეისების აღწერილობა;

ა.ბ) ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების ტარიფები, განზომილების შესაბამის ერთეულებში - ლარი/მგბტ.წმ;

ა.გ) ანგარიშსწორების პირობები;

ა.დ) ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვებაზე, მსურველი პირისაგან აქცეპტის ან დამატებითი სიმძლავრის გამოყოფის თაობაზე განაცხადების მიღებისას, მათი განხილვის პირობები და პროცედურები.

ა.ე) ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების თაობაზე ხელშეკრულების გაფორმების ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მოწვევის ოფერტაზე მსურველი აქცეპტანტი პირის მიერ აქცეპტის წარმოდგენის თარიღიდან არაუმეტეს 20 კალენდარულ დღეს;

ა.ვ) ექსტრაორდინალურ, ფორსმაჟორულ, ავარიულ და სარემონტო სამუშაოების შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები და მხარეთა ურთიერთვალდებულებები;

ა.ზ) ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების ხელშეკრულების გაფორმების პროცედურები;

ა.თ) მოწვევის ოფერტის მოქმედების არანაკლებ 1 წლიანი ვადა.

ბ) მოქმედი მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს **30** კალენდარული დღის ვადაში, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულმა პირმა კომისიაში წარმოადგინოს საჯაროდ გამოქვეყნებული მოწვევის ოფერტის არსებით პირობებში, შესაძლო ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე დოკუმენტაცია და მოქმედი მოწვევის ოფერტის ვადის დასრულებამდე **10** კალენდარული დღით ადრე გამოაქვეყნოს ახალი (ან მოდიფიცირებული პირობებით) მოწვევის ოფერტა;

4.2. დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება, შემდეგი კონკრეტული პირობებით:

ა) ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულმა პირებმა უზრუნველყონ ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების მსურველი (აქცეპტანტი) ავტორიზებული პირისათვის მიწოდება იმგვარი არადისკრიმინაციული და ერთგვაროვანი პირობებით (მათ შორის ტარიფებით, ხარისხით, მიწოდების ვადებით), რომლებიც არანაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე საკუთარი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის**,** აფილირებული ან/და სხვა ავტორიზებული პირებისათვის;

ბ) ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულმა პირებმა უზრუნველყონ ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების პირობების (მათ შორის ტექნიკური ხასიათის) თაობაზე ინფორმაციის ყველა მსურველი ავტორიზებული პირისათვის შეუზღუდავად, გამჭვირვალედ და არადისკრიმინაციულად მიწოდება.

4.3. დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება, შემდეგი კონკრეტული პირობით:

ა) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი ვალდებულია არ დაუშვას კონკურენციის შემზღუდავი ქმედებები, მათ შორის, მომხმარებელთა რომელიმე ჯგუფის სატარიფო შეღავათების სუბსიდირება სხვა ავტორიზებულ პირთა ან მომხმარებელთა ჯგუფების ხარჯზე;

ბ) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი ვალდებულია უზრუნველყოს კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებით დამტკიცებული "ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების" შესაბამისად მომზადებული აუდიტორის მიერ დამოწმებული ყოველწლიური შემოსავლების და დანახარჯების განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშის კომისიისთვის წარმოდგენა. აღნიშნული ანგარიში კომისიისთვის წარმოდგენილი უნდა იქნას კომისიის მიერ „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების შესახებ" კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში. შემოსავლების და ხარჯების განცალკევებულად აღრიცხვის ანგარიშში დეტალიზირებული უნდა იყოს ყველა საბითუმო და საცალო მომსახურება ცალ-ცალკე; შემოსავლების და დანახარჯების განცალკევებული აღრიცხვის ანგარიში დამოწმებული უნდა იყოს „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის N360 დადგენილებით განსაზღვრულ პირთა ნუსხიდან ნებისმიერი აუდიტორული კომპანიის მიერ;

4.4. სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება შემდეგი კონკრეტული პირობებით:

ა) ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრულ, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს დაუდგინდეს ზედა ზღვრული ტარიფი 32 ლარის ოდენობით მგბტ/წმ-ზე, გადასახადების გარეშე;

ბ) ზღვრული ტარიფების ამოქმედების ვადად განისაზღვროს 2015 წლის 1 მარტი;

5. ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრულ, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს დაევალოთ ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების უზრუნველყოფა საკუთარ ქსელის ტექნიკურად დასაშვებ ნებისმიერ წერტილში.

6. გადაწყვეტილება მიქცეულ იქნეს დაუყონებლივ აღსასრულებლად;

7. წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

8. 2015 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს "ინტერნეტის ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ" კომისიის 2013 წლის 20 მარტის №176/9 გადაწყვეტილება;

9. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N6) ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში;

10. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტს (ე.ასანიძე).

კომისიის თავმჯდომარე	ვ. აბაშიძე
კომისიის წევრი	ს. ბრიტანჩუკი
კომისიის წევრი	ი. მოსეშვილი
კომისიის წევრი	კ. ბექაური